



ნიმუხუნაბა

ბამოხმაურება ელიზბარ ჩაველიძის წერილზე – „ღალაბი, ღალაბი, ღალაბი.“

ბაგონო ელიზბარ, უპირველეს ყოვლისა გთხოვთ, მომიტევეთ რიგით მკითხველს, რომ მივეცი თავს ესოდენ ვრცელი წერილის დაწერის უფლება.

ახლა კი მსურს გკითხოთ - ბოროტების გამოვლინება არ არის დღეს მშობლიური ენის შერყვნა-დაბინძურება? ეს ხომ სამშობლოს ღალაბის გოლფასია, რამეთუ ვიცით – „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“.

მიმანია, რომ დღეს, როცა საქართველოს პრესა, ტელევიზია სხვას არაფერს აკეთებს თუ არა იმას, რომ უსუსური ქართული ლულულად აჩლუნგებს ქართულ ამრსა და სმენას, უნდა შეიძლე-ბოდეს ქვემოთე წარმოდგენილი ნაამრევის მორძალებულად შეთა-ვაზება „საქართველოს სამრეკლოს“ ღირსეული კოლეგისათვის.

ქართული-მშობლიური*

„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს...“
ილია

დღეს, როცა საქართველოში ინგლისურ კოლეჯში შეილის სასწავლებლად შეყვანა პრესტიჟულ საქმედ იქცა; დღეს, როცა საზღვაგარეთ წასვლა განათლების მსურველთა სანუკვარი მიზანია; დღეს, როცა დასავლეთში სამუშაოს მოძებნა მუშასა და მეცნიერს ერთი სიმძაფრით სურთ... გვმართებს დაფიქრება, თუ რაშია საქმე? სად არის დასაწყისი; როდის შემოუგრიალა ისგორიის ჩარხი ქართველ ერს სიბნელისაკენ? იქნებ მაშინ, როცა განახევრდა ქართული მოღვმა გაუთავებელი ბრძოლითა და მონათა ბაზრებზე ქართველების გაყიდვით? ან მაშინ, როცა გამცონარდა ქართული გენი რუსული ჩრდილის ცრუ იმედის წყალობით? ძნელია პასუხის მოძებნა...

*წერილი დაწერილია 1994 წლის თებერვალში.

ერთი კი ცხადია – საქართველოს სახელმწიფოებრივი საწყისის უცხო გომთაგან დამცირება-დაკნინებამ (ხოლო ბოლო ხანს სრულიად გაბითურებამ) ქნა თავისი საქმე: დაპატარავდა, დათითოკაცდა ქართველი, გული აღარ ერჩის, თავს აღარა ჰგავს... და ჰგრძნობს თითოეული ჩვენთაგანი, რომ სიგყვები – „მამულს გული უპირველეს ყოვლისა“ უცხო შეიქნა ჩვენთვის (აქ არ იგულისხმება თითოკაცი ქართველი, რომელშიც კიდევ ფეთქავდა ქართული გული უკანასკნელის მგზნებარებით და აჰა... შეაჩერეს იგი ახალაზრდულად უანგარო, ცრუ ომში ეშმაკისეულში)

თუ ერს გული გაუცივდა, მას გულის „ყურნი დაუვალდებიან“ თითო-ოროლად შემორჩენილი მამულიშვილების სასმენდ. როდესაც მაცხოვარი ამბობს: „ვისაც ყურნი გაქვთ ისმინეთო“, იგი სწორედ გულის ყურზე საუბრობს, რამეთუ მოძღვარი ჩვენი იესო ქრისტე თავისი ქადაგებით სწორედ მსმენელთა გულსა და სულს ჰჟენდა ნათლეს. ამაღ ლოცულობს ჭეშმარიტი ქრისტიანი: „გული წმინდა დაჰბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვაჰსა ჩემსა“.

ღმერთს ჩვენ, ქართველები, არასოდეს გავუწირივართ – სიმართლის მთქმელი არასოდეს მოუკლია ჩვენთვის, მაგრამ ღვთის რჩეულნი ეშმაკიდანაც თვალდადგმულნიც ხლებიან ხოლმე და ამიგომ, ნიადაგ გამეგებით უტევდა მაცდური ქართველთა ფიქრს. ხშირად არც თუ მცირე ქართველის გულისყურს იპყრობდა კიდევ, რის შედეგადაც ცდუნებულთ აღარ შესწევდათ უნარი ჰსმოდათ და გაეგოთ სიგყვა ჭეშმარიტი, თქმული ერისკაცების მიერ და გაისმოდა ამ უკანასკნელთა ხმა, „ვითარცა ხმა მღალადებლისა უდაბნოსა შინა“. ამიგომ იყიდებოდა ქართული მიწა, ამიგომ სცვლიდა ზოგიერთი უღირსი ქართველი თავადი ღვდას უნაგირზე და ამიგომ დააგყდა თავს საქართველოს წიწამურის უბედურება, რომელიც ღვდას გადაიზარდა ღიდ მასიურ გრაგვდიაში და მას უკვე სამაჩაბლო, აფხაზეთი, სამეგრელო, თბილისი – ანუ მთელი საქართველო ჰქვია.

ღიახ, გრაგვდის შინაარსი იგივეა – გამცემლური; მხოლოდ მასშტაბია გაზრდილი და საუბედუროდ იგი თითქმის მთელი ეროვნული სულის მომცველი შეიქნა.

რა მოხდა? რაგომ მოიგვა ზოგიერთი ქართველის სულის მპყრობელმა სიბნელემ მთელი ეროვნული სული? იქნებ იმიგომ, რომ მაშინ იმ ზოგიერთებს ჩრდილავენ ცოგნე დადიანი, ღემეტრე თავდადებული, მღვდელი თევდორე... რომლებმაც ზუსტად უწყოდენ უფლის მადლის ძალა და მყარი რწმენით „მოელოდნენ აღდგომასა მკვდრეთით“. ამიგომ არ შეუშინდნენ სიკვდილს ერისა და რწმენისათვის (რაც ჭერშმარიტად განუყოფელია ერთიმეორისაგან) და მით მოიპოვეს კიდევ – „ცხოვრება მერმისა მისი საუკუნესა“.

უწინ, არანაკლებ დღევანდელი დღისა გვავიწროვებდა, გვეცენიდა მგერი ფიზიკური – დამპყრობელი ქართული მიწისა და მგერი სულიერი – დამპყრობელი ქართული სულისა, მაგრამ როგორც ხედავთ დღევანდელი დღისგან დანსხვავებით ქართველი არ გადაგვარებულა. იმიტომ, რომ გმირ მოძმეთა სულიერი სიმტკიცით გამხსნევებული ხალხი „მუშლი მუხას“-ს მღეროდა; ალავერდს აშენებდა; „ვეფხისტყაოსანს“ საუკეთესო მზითვად თვლიდა და შეილს ქართული იაფნანათი აძინებდა; ხოლო საზღვარგარეთ – ოსმალეთში მხოლოდ მონათა ბაზარზე მზაკვრულად მოხვედრილი ქართველი მიდიოდა და იქაც, თუნდაც მიელწია მიწიერი კეთილდღეობის მწვერვალთათვის, მაინც სამშობლოს ნაგვრაში ხდებოდა სული. რუსეთს, ცოდნის დასაუფლებლად, წასული ჩვენი თავადაიშვებლები კი „უცხოობის ოთხ წელიწადს“ აგარებდნენ დარდსა და ფიქრში იმაზე, „თუ როგორ შეეყრებოდათ მათი ქვეყანა და როგორ შეეყრებოდნენ მას ისინი“.

დღეს შეიმჩნევა შემადრწუნებელი განსხვავება წინაპართა ფიქრებსა და ჩვენს გულისთქმას შორის. საზღვარგარეთ მოხვედრილებს, სავალალოდ, გული უკან აღარ გვეწევა. ბუნებრივად ისმის შეკითხვა: რა მოხდა? რა შეიცვალა?

„თუკი წინაპართ შანთებით ვერ დაავიწყეს ქრთული,
თუ ღესაც მღერის ქართულად ფერეიდანში ქართველი.
შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა, ვინ არის შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დამიწდა როცა ამღენი ქართველი!“

/მ. მაჭავარიანი/

იქნებ მართლაც ღმერთი გაგიწყრა და ღირსეული მამულიშვილები არ მოგვივლინა სამაგალითოდ; იქნებ მართლაც ჩაიძირა გაუთავებელი შურისა და გაუგებლობის მორევში “ბაზალეთის გბის ძირას” მონანავე “ოქროს აკვანი”, რომელსაც კდემამოსილი ქართველის დედა არწევდა და უგალობდა მასში მძინარე საქართველოს გმირულ მომავალს ქართულ იაფნანას?

მაგრამ, არა. წმინდა ღვთისმშობელი არ გამოლევს თავის წილხვდომილ ქვეყანაში ღირსეულ ერისშვილის გამზრდელ დედას. ჭეშმარიტად ქართული, ღვთიური, შემონახულია სისხლში, რომელმაც გამოიარა “შოთაის, თამარის, სულხანის გული” და დღეს ჩვენში დაედინება.

ჩვენთან არს კვლავაც ღმერთი, მაგრამ ვაი, რომ იმძლავრა მაცდურმა და ჩვენი გულისყური მიიპყრო. ჩვენ აღარ ვუსმენთ ჭეშმარიტ ქარველთ. არც ძველებს, უკვდავყოფილებს და არც ჩვენს თანამედროვეთ. განა იმიტომ, რომ არ ვცნობთ მათი სიგყვის ჭეშმარიტებას, ან არ ვაღიარებთ მათ სიღიადეს? არა, ჯერ ასე არ

დაჩლუნგებულა ქართული გონი; მაგრამ სული და გული კი დაგვიჩლუნგდა ისე, რომ აღარ გვესმის შოთასი, ილიასი, ვაჟასი; ვერ ვხედავთ თუ როგორ ბრწყინავს ღვთივეკურთხეული ქართული სული იოანე მოსიმეს კალმოდან იღუმალ გაღმოდვრილი სიბრძნეში.

აბა ვინ, რომელი ჩვენგანი იტყვის არ ვარგაო შოთა, მაგრამ ვერ ვკითხულობთ, ვერ ვიგებთო ძველ ქართულს ამას კი ძალიან ჩვეულებრივ ვადიარებთ, არც შეგვრცხვება. თითქოს ძველი ქართული უცხო ენა იყოს (ზოგი, ჰოი დროება, ინგლისურის ან რუსულის გაუგებრობას უფრო მეტად ითაკილებს).

სკუმარ-მასპინძლობის ვაჟასეული გაგება ზოგიერთს აგავიზმად მიაჩნია, ხოლო იბერიულ-კავკასიური გრადიციების, ჩვევების, ენების ერთგვაროვნება, უსაფუძვლო ვერსიად ეჩვენება. აი ამიგომ, გემართებს დაფიქრება. „ხოლო ვისაც ყურნი გვაქვს ვისმინოთ“ სიბრძნე ღვთიური, რომელიც წმინდა ქართული სიტყვით გვეუწყება ჩვენ. დაუბრუნდეთ ჭეშმარიტ საწყისს, ნუ გავიხმობთ ხეს მშობლიურს, რომლის ნაყოფიც ჩვენ თავად ვართ; ხეს ეროვნულს, რომელსაც ფესვები ღვთის რწმენაში აქვს გადგმული. მოუხსმინოთ ქართულ სიტყვას და მჯერა, უფალი გაგვინათებს გონებას.

აბა ყური დაუგდოთ სიტყვებს: „დაბრუნება“, „ჩაღრმავება“. ერთი შეხედვით მათი შინაარსი უკან გვახედებს, მაგრამ თუკი მათ ეროვნული გაგებით შევხედავთ და დღევანდლობის სპექტრში გავაგარებთ?...

განა ეროვნული კულტურისკენ მიბრუნება, იოანე მოსიმეს, ვაჟას, გალაკიონის სიტყვებში ჩაღრმავება შეიძლება ოდესმე ჩაითვალოს ჩვენი შემეცნების უკანსვლად? პირიქით. ამროვნების გვიმდიდრებს და გვინაყოფიერებს დაუშრეგელი წყარო მადლიანი ქართული ენისა.

სიტყვების – „წინაპრისა“ და „წიადსვლისა“ ასაშენებლად ქართველს მომავლის აღმნიშვნელი „წინ“ გამოუყენებია. იმიგომ, რომ ამ ქვეყნიდან გარდასვლით, გარდაცვალებით ჩვენი მამა-პაპა ბრუნდება იქ (სულთა სამეფოში), სადაც მოხვედრა ჩვენ წინ გველოდება; ხოლო წინაპართა გრადიციების ერთგულება-პატივისცემა, მათგან მემკვიდრეობით მიღებული ეროვნულ სიბრძნეში წიადსვლა რას მოუტანს ქართველს, თუ არა ჭეშმარიტ აღმასვლას განათლების გზაზე.

ეროვნულ სიბრძნეში წიადსვლა გახლავთ აღმასვლა ღვთის ჭეშმარიტების შემეცნებისაკენ, რამეთუ მხოლოდ ჭეშმარიტი ეროვნული ამროვნებაა ღვთივეკურთხეული; ხოლო დღევანდელი ინტერნაციონალისტურ-მაგერიალისტური კულტურის წინსვლა არის ცრუ და განწირული, რადგანაც იგი ფესვს არ იდგამს ეროვნულ საწყისში და წინ, ღვთის სინათლისაკენ არ მიიღვს. ამის შესახებ

შესანიშნავად ქადაგებს წმინდა არქიმანდრიტი იუსტინე: „განათლება არის ნათლით, რაც სული წმინდით – სულითა ქრისტესმიერით ხდება. მაგრამ კერპთაყვანისმცემლობაში ჩაძირულმა ევროპამ, შექმნა განათლება, რომელიც არ არის აღშენებული ღმერთკაცის მიერ“.

დღევანდელი მეცნიერების სათაყვანებელი კერპი ადამიანია მისი მაგერიალისტური სულისკვეთებით. დღეს უზენაესი გამხდარა ადამიანის თავისუფლება, რომელიც გაგებულია, როგორც პიროვნების, ვითარცა ფიზიკური არსების თავისუფლება და გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას სექსუალურ ურთიერთობაში, ეროვნებათშორის ურთიერთობაში და რაც ყველაზე შემადრწუნებელია, გულისხმობს სიგყვის თავისუფლებას საშინლად გაყალბებული გაგებით. დიახ, დღეს ადამიანს შეუძლია ილაპარაკოს ის, რაც მოესურვება. მისი სიგყვა თავისუფალია მიუხედავად იმისა, ჭეშმარიტებას დადადებს ის თუ სიცრუეს; ანუ ღმერთს ემსახურება ის თუ ბოროტს. ადამიანმა დაანება საკუთარი სიგყვის პატივისცემას თავი. გარეგნული ეფექტებისთვის(მაგ. საგამეთო სენსაციისათვის) იგი, ყოველგვარი მორალური გადამოწმების გარეშე, იგყვის ყველაფერს, რაც სხვათაგან გაუგონია. მაგრამ, მეგობრებო, საკუთარი სიგყვის გაყალბებით ჩვენ ხომ გზას ვუღობავთ ჩვენსავე სულს შეაღწიოს ჭეშმარიტებაში.

ამის გასაგებად საჭიროა ჩაეუფიქრდეთ სიგყვის ფენომენს. სიგყვა არის ერთადერთი, რითაც უკავშირდება ჩვენი მაგერიალური სამყარო სულიერს. ჩვენი აზროვნების, განცდის გამოსახაგავად აუცილებლად გვჭირდება სიგყვის თითქოს შუამავალია ჩვენს სულსა და ჩვენს შორის. ამისთვისაა საჭირო, რომ იგი იყოს წმინდა, სუფთა, გამჭვირვალე, რათა დავინახოთ ჩვენსავე სულში მოკიაფე ციქქნა ნაპერწკალიც კი. შევძლოთ ჩვენივე სულისთქმის გაგონება. როდესაც ხდება სიგყვების დაბინდვა სიყალბით, როდესაც ჩვენ ვამბობთ იმას, რასაც ვგრძნობთ, ანუ როცა ვგყუით; ანუ როცა ჩვენ სულში ბნელა – ჩვენ გვაწყობს სიგყვის გაუმჭვირვალეობა, დაბინდვა, მისი დაბინძურება, რათა დაიფაროს ჩვენი სულის უკუნი. ფარისევლური სიგყვებით, გყუილით ჩვენ ვახერხებთ კიდეც ამას. აი რას ემსახურება ჭეშმარიტი ღვთიური სიგყვის გაყალბება, აი როგორ ქარგაში იჭრება დღეს სიგყვის თავისუფლება, აზრის თავისუფლების წმინდა იდეა.

ზოგადსაკაცობრიო ცნებები, შეგონებები ყალბ საფუძვლად დაედო საქართველოში დღეს მორალულად ქცეულ ფრაზას: „მთავარია ადამიანმა თვითონ იგრძნოს თავი თავისუფლად“ ან „სულით მონა არ უნდა იყო“.

თუკი ამ ძლიერ სიგყვებს ღრევიანდელი გაგების ცრუ საბურველს შემოვაცლით, ვიგრძნობთ, რომ ჭეშმარიტად ასეა. მაგრამ გვესმის კი სწორად, რისგან უნდა იყოს ადამიანი თავისუფალი და ვის არ უნდა დაემონოს სულით? ...

დღეს, როდესაც კომპიუტერულმა პროგრესმა დაიმონა, დაშტამპა ადამიანები, რობოტებს ამსგავსა ისინი, საჭირო შეიქნა, მათი „მეობრივი“ ფსიქიკის დასამშვიდებლად და გასაწონასწორებლად ადამიანისთვის თავისუფლების იდეის გაყალბებულად შთაგონება. დღეს ადამიანმა საკუთარ თავს შეჭხედა როგორც განსაკუთრებული პატივისცემის ღირს არსებას და დაიწყო მრუნვა სრული უფლების მოსაპოვებლად სამყაროზე. მაგერიალისტური მეცნიერების განვითარების გზით იგი თითქოს იპყრობს, იმორჩილებს კიდეც ბუნებას და ტყვევდება იმ გამანადგურებელი აზრის მიერ, რომ მას ბევრი შეუძლია. ან იქნებ ყველაფერიც!... აი, სად მიაღვა საცოდავს საგანა, აფიქრებინა მას სწორედ ის, რისთვისაც თავად განიღვენა ღვთისგან. ე.ი. რა მოხდა? მაგერიალური თავისუფლებისაკენ მიმავალი კაცი ტყვე შეიქნა ამ ცრუ თავისუფლების იდეისა. იგი დაიმონა საკუთარი სიძლიერის საგანისეულმა განცდამ და წარმოგვიდგა ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლების საწინააღმდეგო მდგომარეობაში – სულიერ მონობაში, რამეთუ ადამიანის სული იმდენად ძლიერია, რომ ფლობს საკუთარ სხეულს, ერევა ხორციელ სწრაფვას, ანუ სულს გააჩნია საკუთარი თავისუფლება და ნაცვლად იმის, რომ გააღმერთოს საკუთარი თავი, საკუთარი „მე“, ღმერთს ეთაყვანება, ჰმორჩილებს. მორწმუნის სული, მაგერიალისტისგან განსხვავებით, მონაა ღვთისა, რამეთუ ესმის, რომ კაცი კი არ არის ღმერთი, არამედ ღმერთია კაცში – მის გულში, მის სულში და უნდა უსმინოს, ემსახუროს არა თავის თავს, არამედ თავის სულსა და გულში დავანებულ ღმერთს. აკი იოანე წინასწარმეტყველი გვეუბნება: „ეძიეთო ღმერთი თქვენ გულებში“.

ყოველგვარი კეთილი აზრი, რომელიც ჩვენს გონებაში წარმოჩინდება არის იესო, ყოველი კეთილი საქმე, რომელსაც ჩვენ ვიქმთ, არის იესო; ასე რომ ღმერთის სამსახური, ქრისტეს ერთგულებაა და სხვა არაფერი, თუ არა კეთილი საქმის ქმნა, კეთილად სჯა.

დღეს ჩვენს გულებში სანუგეშოდ მფეთქავმა სიკეთემ – ქრისტემ, ოდეს ის ძე კაცად ცხოვრობდა დედამიწაზე იესოს სახით, ფეხები დაჰბანა თავის მოწაფეებს და მით გვიანდერძა: – თუკი მე გბანთო ფეხებს და გემსახურებით ღმერთკაცი ადამიანებს, თქვენ, ადამიანებმა მითუმეტეს უნდა შესძლოთ ერთმანეთის სამსახური.

მართლაცდა, კაცნო, თუკი ღმერთკაცი ჩვენთვის, ჩვენი ცხოვრებისთვის, ჩვენი თვალების ასახელად ჯვარს ეცვა, ნუთუ ჩვენ ვეღარ უნდა შევეძლოთ თუ ჯვარცმა არა (რასაც არც ითხოვს უფალი), ერთურთისთვის სიკეთის ქმნა მაინც? გვამდეთ, ერთადერთი სიკეთის ქმნა განგვათავისუფლებს ცოდვისაგან – ბოროტის ქმნისგან. აი ეს იქნება ჭეშმარიტი თავისუფლება ღვთისაგან ბოძებული.

მართლმადიდებლური ეკლესია, სწორედ რომ უსამღვრო თავისუფლებას ანიჭებს მორწმუნის ამრონებას, აგარებს რა ღვთისმსახურებას მშობლიურ ენაზე. მხოლოდ მშობლიური ენის საშუალებით სწვდება ადამიანის აზრი ღვთიურ სიმაღლეებს. მშობლური ქედრადობა ახლობელს ხდის სიბრძნეში დასაბამიერიდანვე ჩაღვრილ ღვთიურ სიბრძნეს. ამიგომაა აუცილებელი, რომ ბერძენმა ბერძნულად ილოცოს, რუსმა რუსულად და ქართველმა ქართულად.

მაგრამ, საუბედუროდ, მლოცველის მშობლიურ ენაზე ლოცვის უფლება და აუცილებლობა ბევრმა ისევ გაიგო, რომ ადამიანმა ღმერთს თავის განსაცდელზე მხოლოდ თავის სიბრძნეებზე უნდა ელაპარაკოს; ხოლო დიდი ლოცვები, მართალია დიდი ადამიანების შექმნილია, მაგრამ უცხოა ჩვენთვის რაკილა ჩვენს განცდას არ გამოხატავს. მეგობრებო, როცა ჩვენ ამას ვამბობთ, ისევ და ისევ სიბრძნის, აწ უკვე წმინდა სიბრძნის – ლოცვის გაუფასურებას ვლამობთ. რამეთუ ჩვეულებრივ მლოცველს შუძლია განიცადოს ჩვეულებრივ, ადამიანურად და თავისი მიწიერი სურვილების აღსრულება სთხოვოს მხოლოდ ღმერთს. ხოლო მიწიერი სურვილი ვერ აგვამაღლებს მიწაზე გვეით. ამ დროს სიბრძნის ეკვეცებათ ფრთები და ისინი ვერ ეუფლებიან სივრცეს.

ჭეშმარიტი კანონიკური ლოცვა არ არის ვინმეს განცდების დაფიქსირება. ეს არის ღვთიურთან მიახლოების საშუალება. „მამაო ჩვენო“ ეს არის ლოცვა-ქვაკუთხედი, რომელიც გვიანდრეკა ღმერთკაცმა, რათა ყოველი მისი წარმოთქმის დროს ვეზიაროთ სიბრძნეს იმქვეყნიურსაც და ამქვეყნიურსაც. ჩვენ იმ დონეზე გავიზიარებთ ამ წმინდა სიბრძნეებში ჩადებულ სიბრძნეს, რაოდენი უნარიც გააჩნია ჩვენ სულებში მცნებას. მაგრამ ჩვენი შექმენების იქით არსებობს უდიდესი ჭეშმარიტება, რომლის გამოცხადება ამქვეყნად იყო ისეო ქრისტე. ამ ჭეშმარიტებას ზიარებული წმინდა მამები ქმნიდნენ სწორედ დღეს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ ჩვენთვის მოწოდებულ ლოცვებს. ასე, რომ ვკიხულობთ რა დიად „მამაო ჩვენო“, „მრწამს“, ჩვენ ვცდილობთ ვეზიაროთ სიბრძნის მაღლს, ვუსმენთ მის გალობას, რათა ფრთოსანი სიბრძნის

დაუნჯებით თავადაც ფრთაშესხმული ჩვენი სული ამაღლდეს მიწიერის განცდისაგან.

აი, რა დანიშნულება აქვს ჭეშმარიტ მართლმადიდებელურ ლოცვას და როგორ ამახინჯებენ, აყალბებენ მას ბაბგისტები, როცა უქდაგებენ გულურყვილო მრევლს – მხოლოდ საკუთარ განცდებზე ევედრეთო უფალს. სიგყვის ღვთაებრივი ძალა, მშობლიური ენის მაღლი ღრმად ჰქონდათ გააზრებული ჩვენს სასიქადულო მამულიშვილთ. ამიგომ იღვწოდნენ გამუღმებით მის უკვდავსაყოფად. ამიგომ გადასდეს თავი დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და მისმა თანამებრძოლებმა საქართველოში ცოდნის ქართული ტაძრის შესაქმნელად; რადგანაც სწამდათ, რომ მსოფლიო მეცნიერების აღქმას ქართველი მის ეროვნულ ფილტრში გაგარების შემდეგ უკეთ შესძლებდა.

რა ხდება საქართველოში დღეს? რა დაემართა ჩვენი დიდი მასწავლებლების რუდუნებით შექმნილ უნივერსიტეტს და მათგან ნაანდერძევი სწავლების გრადიციებს მთლიანად? ისევ ჩანს მცდარი მიდგომა ამჯერად ცოდნისადმი. განა შეიძლება ცოდნის გადაცემა, სწავლება – ეს ღვთისუკურთხეული საქმიანობა ჩაეხლართოს ეშმაკის მოგონილ კორუფციას?... და აი, მივიღეთ კიდევ საშინელი შედეგი – უვიცი ახალგაზრდობა, ანუ უმეცრებისთვის განწირული საქართველოს მომავალი.

აი, ამიგომ გემართებს დაფიქრება და ქართულისკენ შემობრუნება; ეროვნული სკოლის გაძლიერება და შვილების ჭეშმარიტად ქრისტიანებად აღზრდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, როცა უკვე შეიმჩნეოდა ქართული სულის დაკნინება, ილიამ ბრძანა, სამი რამის ერთგულება გადაარჩენსო საქართველოს მომავალს – ენის, მამულის, სარწმუნოების.

სანუგეშოდ მსურს შეგახსენოთ, რომ ქართველ პოეტს დღესაც გააზრებული აქვს შემდეგი:

„ენა არ გაწყენს არც ერთი,
უნდა იცოდე რამდნიც,
მაგრამ არ უნდა დაკარგო
ქართული სიგყვის ნათელი“

/მ . მაჭავარიანი/

მიმაჩნია, რომ ციგაგის ბოლო სტროფს ისეთივე შინაარსობრივი დაგვირთვა აქვს, როგორც ილიას სამი სიგყვის უკვდავ ხმოვანებას.

ვასრულებ წერილს და მეუფლება სინდისი ქეჯნის გრძნობა: მქონდა კი უფლება მიემართა მშობელი ხალხისთვის ასე ხმაამაღლა? გთხოვთ მაპატიოთ ეს სითამამე...